პროექტი

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _**

2023 წლის _ _ ივლისი

ქ. წყალტუბო

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა N2–ში მდებარე, შენობის (საკ.კოდი N29.08.33.031) მესამე სართულზე განთავსებული 216 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, 12 ( თორმეტი) წლის ვადით,იჯარის უფლებით, შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნება"-სთვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (48-482319865; 17/07/2023) წერილი, რომელშიც შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ,,ოცნებას'' დირექტორის წერილის საფუძველზე ითხოვს თანხმობას ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა N2–ში მდებარე, შენობის (საკ.კოდი N29.08.33.031) მესამე სართულზე განთავსებული 216 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, 12 (თორმეტი) წლის ვადით,იჯარის უფლებით, შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა . „ოცნება"-სთვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ .

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122–ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა N2–ში მდებარე, შენობის (საკ.კოდი N29.08.33.031) მესამე სართულზე განთავსებული 216 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, 12 (თორმეტი) წლის ვადით, იჯარის უფლებით, შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნება"-სთვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ .
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ზერაძე

შეთანხმებულია

კომისიის თავმჯდომარე რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482319865**
თარიღი: **17/07/2023**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ,,ოცნებას'' დირექტორის წერილი (თან ერთვის), რომელიც ითხოვს 12 წლის ვადით, იჯარის უფლებით, სარგებლობაში გადაეცეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა N2-ში მდებარე შენობის (საკ.კოდი N29.08.33.031) მესამე სართულზე განთავსებული 216 კვ.მ. ფართი, რომელზეც საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2023 წლის 30 აგვისტოს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122–ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა, შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ,,ოცნებას''პირდაპირი განკარგვის წესით, 12 წლის ვადით, იჯარის უფლებით, სარგებლობაში გადაეცეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა N2-ში მდებარე შენობის (საკ.კოდი N29.08.33.031) მესამე სართულზე განთავსებული 216 კვ.მ. ფართი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა

„ ო ც ნ ე ბ ა “

ქ.წყალტუბო,კოლხეთის ქ.№2 ტელ: 0436-22-24-05 მობ.551-85-51-11

სს საქართველოს ბანკი ბანკის კოდი BAGAGE 22; სკოლის საიდენტ/კოდი 221290886.

09 ივნისი 2023 წელი

№ 20

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

მერს ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ,,ოცნების“ (ს/კ 221290886) დირექცია გაცნობებთ, რომ აღნიშნული სკოლა მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული კოლხეთის ქ.N2-ში მდებარე შენობაში იჯარით.

აღნიშნულ შენობის მესამე სართულზე იჯარით აღებული გვაქვს 225,8 კვ.მ ფართი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება N 517 ქ.წყალტუბო 30 აგვისტო 2013 წელი- ქ.წყალტუბოში კოლხეთის ქ.N2-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე განთავსებული 225,8 კვ.მ ფართის შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ,,ოცნება“ - სათვის იჯარით გადაცემის შესახებ).

გთხოვთ მოცემულ ფართზე (225.8 კვ.მ) გაგვიგრძელოთ ხელშეკრულების მოქმედების ვადა 12 წლით, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით

შპს არასახელმწიფო საერო საშუალო

სკოლა ,,ოცნების“ დირექტორი: ირინე ცაავა

ნომერი: 10/482316049-48
თარიღი: 09.06.2023 14:27
ვადა: 10.07.2023

## განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნება საიდენტიფიკაციო კოდი : 221290886
მისამართი: საქართველო, წყალტუბო, კოლხეთის ქ., □ 2
განცხადების N: განცხადების თარიღი:
ხელმომწერი: თანამდებობა:

## განცხადება/ნომენკლატურა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
თავისუფალი განცხადება

## მოთხოვნის ტექსტი

ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ

## დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა: პირადი უზრუნველყოფით ხელზე გატანა

გავეცანი, თანახმა ვარ ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავებული იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

ხელმოწერა: _____